საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1343 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ სს „BGEO ჯგუფის“ მიერ გამოსაშვებ აშშ დოლარში დენომინირებულ ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ სს „BGEO ჯგუფის“ მიერ გამოსაშვებ აშშ დოლარში დენომინირებულ ობლიგაციებში არა უმეტეს 70,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების შესახებ.

2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სადამფუძნებლო შეთანხმების მე-3 მუხლის, მე-3 სექციის, (ii) პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წერილობით აცნობოს თანხმობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) გამოგზავნილი წერილის შინაარსზე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი